სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

20/09/2024

MES 7 24 0001172140

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით ჩასატარებელი შეფასების პროცედურების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის, „2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 16 აგვისტოს MES 8 24 0000982503 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის N 01-05-04/181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.საქართველოს ტექნიკურ უნივესიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი განისაზღვროს 2024 წლის 23 სექტემბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით.

2. შეფასებაზე დაიშვება პირი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია.

3.საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასება განხორციელდეს შემდეგი ფორმით: მოტივაციური გასაუბრება ან შემოქმედებითი ტური.
4. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მოტივაციურ გასაუბრებაზე დაიშვებიან ის აპლიკანტები, რომლებიც სტუ-ს მიერ ჩატარებული ტესტირების საფუძველზე დააგროვენ არანაკლებ 25 ქულას. აპლიკანტები, რომლებსაც რეგისტრაციისას მითითებული აქვთ სხვა ენა, არ მონაწილეობენ ტესტირებაში და ისინი მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მოტივაციურ გასაუბრებაში.
5.საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების პროცედურები/მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს №1 დანართის შესაბამისად.
6.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შესარჩევი კომისიების შემადგენლობა №2 დანართის შესაბამისად.
7.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სააპელაციო კომისიების შემადგენლობა №3 დანართის შესაბამისად.
8. დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შეფასების პროცედურის ვადები №4 დანართის შესაბამისად.
9.დამტკიცდეს მოტივაციური გასაუბრების, შეფასების და შემოქმედებითი ტურის შეფასების ფორმები №5, №6, №7 დანართის შესაბამისად.
10.შეფასების კონკრეტული თარიღების და ფორმების შესახებ ინფორმაცია აპლიკანტებს მიეწოდება შეფასების თარიღამდე არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მათ მიერ რეგისტრაციისას მითითებული საკომუნიკაციო საშუალებებით.
11.პროფესიული სტუდენტები, რომელთა ჩარიცხვა განხორციელდება ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე) შერჩევის გზით და სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ქართული ენის A2 ან B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (პროგრამის შესაბამისად). ის პირები, რომლებიც ვერ წარმოადგენენ ენის ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს, შესაბამის ტესტირებას გაივლიან უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში. ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვს იმ სტუდენტს, რომელიც ტესტირების საფუძველზე დააგროვებს მინიმუმ 11 ქულას.
12.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აპლიკანტთა შეფასების შედეგები აისახება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა დაევალოს სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
14.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
15.ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
16.ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
17.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ